წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. კვირა ოქტომბრის 29 (11) 1917

# ჩვენი ქვეყანა

| გაზეთის ფასი: | |
|---|---|
| თვიურათ | 3 მან. |
| ოთხი თვით | 1 თუმანი. |
| ცალკე ნუმერი | 3 შაური. |
| **განცხადების ფასი:** | |
| პირველ გვერდზე პეტიტით ირის | 2 აბაზი. |
| უკანასკნელ გვერდზე | 5 შაური. |

ქალაქ გარედან მიღებული განცხადება წინასწარი ფულით. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღია დილის 9—2 საათამდის, და სალამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 162 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 162

30 ოქტომბერს დ. **ხობის მონასტერში** დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი

ივანე გიორგის ძის ჯორჯიკიას

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის

# სია № 8

## რუსეთის დამფუძნებელ კრებისთვის

1. **კედია** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ბეჟანიძე** სულეიმან ბეგი—მეურნე (აჭარიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ჟურული** გიორგი დურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ქიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გორდეზიანი** გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი.
10. **ივანიცკი** (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო გიმნაზიისა,
12. **ნიჟარაძე** რეჯებ ბეგი—მეურნე.
13. **თორიძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და სალამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციასთან.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და სალამოს 5—8-დე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი, რუსერის 2 დამწლევე საზოგადოების სააგენტოში.** იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (გურია).

ამით აცხადებს, რომ წევრათ ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე პარტიის კლუბში.

## ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია საპნის **სოდა** და საპნისთვის ქონის მაგიერი საშუალება „**ქირონინი**", აგრეთვე ყოველივე მისთვის მასალები. ფასები ზომიერია.

# დათესეთ პური,

## დაზარდეთ ფრინველი

## და ოთხფეხი საქონელი,

## რადგან მსოფლიო შიმშილისა და გზების გაფუჭების გამო ჩამოტანის იმედი არ უნდა ვიქონიოთ.

# ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და სალამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე.** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. სალამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

### ექიმი

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და სალ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და სალამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## აჯანყების გამო.

მძლავრათ ვითარდება დაწყებული აჯანყება. ოფიციალი ცნობით პეტრეს ქალაქში ბოლშევიკებს თავის მთავრობა აურჩევიათ. საკუთარი მთავრობას ადგენს მოსკოვიც. იქსაქსება და ნაწილდება სახელმწიფო.

ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ კრიზისი ასე ადვილათ არ დამთავრდება.

ყველაფერი წარმავალია, გუშინ დიდ სახელმწიფოთ წოდებული რუსეთი დღეს გაქრობის წინაშე სდგას.

გარეშე მტერი, შინაური აშლილობა, ანარქია ბუმბერაზ რუსეთის დღეებს სთვლიან.

განაპირა ქვეყნები კარგა ხანია ინსტინქტიურად გრძნობენ ამას და საკუთარ სიცოცხლის შენარჩუნებისთვის გაორკეცებულის ენერგიით მოძრაობენ.

საქართველო განსაკუთრებულ მდგომარეობაში vardeba.

იოტის ოდენი იმედიც ნუ გვექნება სხვისი.

ამ უსასტიკეს გვრგვინიაში კიდეც იღუპებიან ერები და კიდეც ბედნიერდებიან.

პირველიც და მეორეც დამოკიდებულია თვითონ ამ ერების უნარზე მიზან შესწავლილ ენერგიულ მუშაობაზე.

ჩვენს ცხოვრებას დიდი გართულება მოელის.

ვერცერთი ცალკე გამოსულ თუნდაც უძლიერესი პარტია დღევანდელ ამბებს პასუხს ვერ გასცემს, ხალხს ვერ უშველის. ერთადერთი ხსნის გზა **ეს მთელი ერის** დაუყოვნებლივ გაერთიანება და პოლიტიკურათ დარაზმვა არის.

ამ მომენტში მხოლოთ რეალ ძალას შეუძლია დაგვიფაროს და სამშვიდობოს გაგვიყვანოს.

შეიძლება ახლავე ალვიდგინოთ ეროვნული თვითმყოფელობის უფლებები, შევიქნეთ დამოუკიდებელნი, მაგრამ ამისათვის მიუცილებელია მთელი ერის შეკრება, შეკავშირება, გამაგრება და თავდაცვის რიგში ჩადგომა. უმთავრესი ყურადღება უნდა მოექცეს ქართველ მეომრების სამშობლო მიწა წყალზე დაბრუნებას და მათს ორგანიზაციას. მოვალეობა დიდი წარმოგვიდგა. ყველა მოვალეა გვერდი არ აუხვიოს ქვეყნის სამსახურს...

ი. დ—ძე.

## საადგილმამულო კომიტეტები.

5 თვეა რაც რუსეთში მოქმედებენ საადგილ მამულო კომიტეტები. როგორც ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა გვაუწყა, კომიტეტების მთავარ-მიზანი არის აგრარულ რეფორმისთვის საჭირო ცნობების შეკრება, პირობების გაცნობა და აღმოცენებულ აგრარულ უთანხმოება უწესოებათა დროებით მორიგება. თბილისში არსებობს მთავარი საადგილმამულო კომიტეტი. მას მისდევენ საგუბერნიო სამაზრო, სარაიონო და სასოფლო კომიტეტები.

ქუთაისში კარგა ხანია შესდგა საადგილმამულო კომიტეტი; თავი, რომ დავანებოთ მაგვარ კომიტეტების საქართველოში მუშაობას პრინციპიალ მხარეს, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ქუთაისის საადგილ-მამულო კომიტეტი „უმოძრავო დაწესებულებაა", რადგან მის შემადგენლობაში შეყვანილი პირები. ყველანი სხვადასხვა მოვალეობით და საქმით არიან დატვირთულნი, რის გამოც მათი ენერგიული მოღვაწეობა ისეთ სერიოზულ დარგში, როგორიც, მიწის კითხვა არის,—უზრუნველყოფილი არ არის. მაგრამ ამ წერილში მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ დიდმნიშვნელოვან გარემოებას.

რუსეთის მთავარ საადგილ-მამულო კომიტეტს აუცილებელი ცნობები შიდა გუბერნიებში უკვე შეუკრებია.

როგორც გაზ. „რესპუბლიკა"-ში ბ. სიმ. ავალიანი სწერს, რუსეთის მთავარი საადგილ-მამულო კომიტეტი ახლა ცნობებს სთხოვს განაპირა ქვეყნებს და მათ შორის საქართველოსაც.

ირკვევა, რომ რუსეთის მთავარი საადგილმამულო კომიტეტი მთელ რუსეთისთვის ერთნაირ რეფორმას ამზადებს.

საადგილ-მამულო კომიტეტები ხელმძღვანელობენ ჩერნოვის რუხლიაევის და რაკიტნიკოვის პროექტით, რომელნიც მიწის კერძო საკუთრების მოსპობას მოითხოვენ და სოციალიზაციას ამყარებენ.

ამ ჟამათ ჩვენ პროექტის კრიტიკა არ გვაქვს აზრათ და ეს არც საჭიროა, რადგან საქართველოსთან ჩერნოვ რაკიტნიკოვ რუხლიაევის და ძმათა მისთა პროექტებს არავითარი კავშირი არ აქვს.

რაღა გვაინტერესებს ჩვენ? ის, რომ რუსეთის მთავარი საადგილმამულო კომიტეტი სრულიადაც არ უნდა ჩაერიოს საქართველოს აგრალურ რეფორმის სამზადებელ მუშაობაში.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ საქართველოს მიწის კითხვა ადგილობრივ, საქართველოშივე გადასწყდეს სრულიად ქართველი ხალხის ეროვნულ დამფუძნებელ კრებაზე ამისათვის მადლობას ვერ ვეტყვით ბ-ნ სიმ. ავალიანს, რომ ის როგორც წევრი საადგილ-მამულო კომიტეტის და აგრარული გამოკვლევების ავტორი თანამშრომლებას გაუწევს რუსეთის მთავარ საადგილ-მამულო კომიტეტს საქართველოს მიწათ მფლობელობის შესახებ ნამდვილ ცნობების მიწოდებით.

იმას არ ვამბობთ, რომ რახან ამ ჟამათ მიწად მოქმედების სამინისტროში სოციალისტ-რევოლუციონერები არიან, რუსეთში უსათუოდ მიწის სოციალიზაცია დაწესდება ამიტომ ვეწინაალმდეგებით რუსეთის მთავარ საადგილმამულო კომიტეტის უფლების საქართველოში გავრცელებას.

არა. ისეთი პარტიაც, რომ იყოს სამინისტროში, რომელიც სოციალიზაციას უარჰყოფს, ჩვენ საქართველოსთვის ამ კითხვის გადაჭრას დამოუკიდებლათ მოვითხოვდით.

არც იმაზე ჰიგვაჩნია ლაპარაკი საჭიროთ, თუ რამდენათ განსხვავდება რუსეთის მიწათმფლობელობა საქართველოს მიწათ მფლობელობისგან. იქ თითოეულ მსხვილ მემამულეს დარბევის დროს 70 მილიონი ზარალი მოსდის, საქართველოში სანთლით ვერ ნახავთ ისეთ მემამულეს, რომ 1 მილიონი შეძლება ჰქონ-

დეს. ჩვენში გლეხი მთელის მიწის მფლობელობის, გაუმჯობესებას იმ სახით, რომ მას საკუთრებაში, რაც შეიძლება მეტი მამული ჰქონდეს შეღავათიან გზით შეძენილი.

არ არის არც ერთი გლეხი, რომ მიწის საკუთრების გაუქმებას ღიარებდეს.

დღეს ყველა უსაზღვრო ხალისით მისდევს მიწის კულტურულად დამუშავებას, რაც უმეტეს წილად მიწის კერძო მფლობელობის წყალობით არის. მაგრამ ამაზე ბევრჯერ მოგვიხდება სჯა ბაასი.

ახლა კვლავ დაბეჯითებით აღვნიშნავთ, რომ საქართველოში შეიგნონ და წინ აღუდგენ რუსეთის მრავარ საადგილ-მამულო კომიტეტის უუფლების საქართველოში გავრცელებას.

ეს აუცილებელია, ამას გვიკარნახებს საკუთარი ეროვნული ინტერესი და ის ყოველ დღე პირობების გამომცვლელი ნერვიული ამბები, რომელიც ამ ჟამათ რუსეთში ხდება.

დავიწყოთ ჩვენი საქმეების საკუთარ სამშობლოშივე გარჩევა. გავნთავისუფლდეთ მახინჯ ოპეკიდან.

**ი. იმერელი,**

## რუსული პრესა.

**„ქართული ეკლესია“**

**გაზ.** „პეტროგრადსკია ვედომოსტი სწერს:

სარწმუნოების მინისტრმა აცნობა სრულიად საქართველოს პატრიაქრქ-კათალიკოსს კირიონს, რომ ოკტომბრის პირველიდან საქართველოს სამღმდელოებას აღარ მიეცემა ჯამაგირი ხაზინიდან ჩვენ არ ვიცით, ამავედროს ისიც აცნობა თუ არა ვ. ნ. კარტაშოვმა პატრიარქ-კათალიკოსს, რომ საქართველოს ეკლესიას უბრუნდება მისი ქონება, ღირებული ას ორმოც ხუთ მილიონათ, რომელიც წართმეული იყო სხვადასხვა დროს რუსის ეგზარხოსების და მმართველობის მიერ? თუ ვ. ნ. კარტაშოვმა არ მიიღო ზომები დაუბრუნდეს საქართველოს ეს კანონიერი ქონება ეკლესიასა მასვე, მაშინ კრედიტის მოსპობა საქართველოს სამღმდელოების ჯამაგირების ხაზინიდან გაღებაში იქნება პირდაპირ ავაზაკობა, მით უმეტეს, რომ ამ ქონების ჩვეულებრივი სახაზინო პროცენტი, ბევრათ გადაამეტებს იმ თანხას, რომელიც ჯამაგირათ ეძლევა ხაზინიდან სამღდელოებას:

თუ უსპობთ ჯამაგირებს,—დაუბრუნეთ ქონება, და თუ ქონების დაბრუნება არა გსურთ,—გაიღეთ განსაზღვრული პროცენტი მაინც!.. ბოლოს და ბოლოს, თქვენ შარა გზის ქურდები ხომ არა ხართ?!...

## ეროვნული კითხვა

**ფინლიანდია და რუსეთი ჰელსინგფორსი.** ოქტომბრის 24. სეიმის სოც.-დემ. ფრაქციამ პროტესტი განაცხადა სეიმის უმოქმედობის გამო.

**ფინლიანდსია-რუსეთის დამოკიდებულების პროექტი**

**ჰელსინგფორსი.** ოქტომბრის 24. ბურჟუაზიულმა პარტიებმა გენერალ გუბერნატორს წარუდგინეს პროექტი იმ მანიფესტისა, რომლითაც დროებითმა მთავრობამ უნდა მოაწესრიგოს ფინლიანდია რუსეთის ურთიერთობა. ამ პროექტის თანახმად ფინლიანდიის შინაგანი უმაღლესი მმართველობა და კანონმდებლობა ფინლიანდიის სენატის ხელში უნდა იყოს სოციალ-დემოკრატებს თავისი აზრი ამის შესახებ ჯერ არ გამოუთქვამთ. სეიმი ოქტომბრის 20 გაიხსნება.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს თფილისის განყოფილება აცხადებს, რომ ღვინობისთვის 25-ისა და 26-ის დეპეშები არ მიუღია.

**დასავლეთის ფრონტი.**

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** ღვინ. 24 საღამოს ოფიციალი. შმენდედამის ჩრდილოეთით დილას საარტილერიო ბრძოლა იყო. შუადღის შემდეგ ბრძოლა გაძლიერდა, უმთავრესად ლეშომის ტყეში.

**ბელგეთის ბანაკის ცნობა.**

**ჰავრი.** ღვინ. 24 საღამოს ოფიციალი გერმანელთა არტილერია წინა დღეებთან შედარებით სუსტად მოქმედებდა. დიქსმიუდესთან გერმანელმა ზარბაზნების მკაცრი სროლა აუტეხეს ბელგიელთა მოდარაჯე რაზმებს ბელგიელთა არტილერია ენერგიულად უპასუხებდა.

**ინგლისელთა გემების დაღუპვა.**

**კოპენჰაგენი.** ღვინ. 24 ვოლფის სააგენტო ოფიციალად იტყობინება: ჩრდილოეთის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში, ინგლისსა და ნორვეგიისა შუა გერმანელთა წყალქვეშმა 9 გემი დაღუპა.

**რეფორმები გერმანეთში.**

**კოპენჰაგენი.** ღვინ. 24 გერმანეთის ახლად შემდგარ მთავრობისადმი სოციალ დემოკრატიის დამოკიდებულების შესახებ უმრავლესობის ლიდერმა შეიდემანმა შემდეგი განაცხადა: გერმანეთში მოხდა ცვლილება, რომლისათვისაც სხვა სახელმწიფოში საჭირო იქნებოდა დიდი სისხლის ღვრა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ თავისუფლების მოსაპოვებლად გერმანელებს გარედან დახმარება არა სჭირია. რაც შეეხება სოც.-დემოკრატების ეკონომიურს მოთხოვნილებებს, ამათ განსახორციელებლად შესაფერი დრო ჯერ ირ დამდგარა. საჭიროა მოცდა, მანამდე კი მხარი დავუჭიროთ მთავრობას, თუ კი უკანასკნელი აშკარა და მტკიცე პოლიტიკას აწარმოებს და ზომებს მიიღებს პატიოსან, მტკიცე, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოსაგდებად.

## უკანასკნელი დეპეშები.

იუწყებიან ბოლშევიკურ კაბინეტის შემდეგს სიას: პრემიერ მინისტრად არჩეულია—ლენინი, საგარეო საქმეთა მინისტრად—ტროცკი სამხედრო მინისტრად გენერალი ვერხოვსკი, გზათა მინისტრად ბერნაცკი, ფინანსების მინისტრად—ავალოვი. გენერალ ვერხოვსკის დიქტატორულ რწმუნებულებით აღჭურვას აპირებენ.

—

დეპუტატთა საბჭოს ცენტრალ კომიტეტმა და გლეხთა საბჭომ სმოლინის ინსტიტუტი დასტოვა. იქ ბოლშევიკებმა შტაბი დაიარსეს. საბჭოები მარინის სასახლეში გადავიდნენ და ყოველ მხრივ მხარს დროებით მთავრობას უჭერენ.

—

საზამთრო სასახლეში ყაზახებმა მხარის დაჭერა განუცხადეს მთავრობას იმ პირობით კი, რომ საქმე ბოლშევიზმის სრულ ლიკვიდაციამდე მიიყვანონ. კერენსკი ყაზახების ამ თვალსაზრისს იზიარებს.

—

ოქტომბრის 24 ღამე 50 ალაგას ავტომობილზე შეიარაღებულ ხალხთა და მილიციონერთა შორის სროლა მოხდა. მიღებული ცნობებით 30 კაცამდეა მოკლული.

—

მემარჯვენე ესერები, მენშევიკები, ცენტრალი კომიტეტი მენშევიკებისა. და ცენტრალი კომიტეტი ესერებისა გამოვიდნენ საბჭოების ყრილობიდან, და გადაწყვიტეს პროლეტარიატს საგანგებო მოწოდებით მიმართონ.

—

დროებითი მთავრობის კომისარმა ზვონარევმა განაცხადა. თუ ბოლშევიკებმი გამოვლენ იარაღს მივმართავო.

—

კალედინი ნეიტრალიტეტს იცავს. კალედინი და დონის სამხედრო მთავრობა მხარს დროებით მთავრობას უჭერენ.

—

მოსკოვში შესდგა სარევოლუციო კომიტეტი.

—

მოსკოვის გაზეთები, გარდა სოციალისტური მიმართულებისა, არ გამოსულა.

—

პეტროგრადში ზამთრის სასახლე ბოლშევიკებმა იერიშით აიღეს. მინისტრები დატუსაღებულია.

—

ბოლშევიკები დაიბნენ; სხვა წრეებს თანამშრომლობისთვის მიმართეს

—

ლენინმა საბჭოში სთქვა, გაბედული საზავო პოლიტიკა არ ნიშნავს ომის ეხლავე შეწყვეტასო.

## არჩევნებისთვის.

პარტიული ორგანიზაციული მუშაობა დღევანდელ აუტანელ პირობებში აუარებელ ხარჯებს მოითხოვს.

გარდა ამისა უკვე კარს მოგვადგა დამფუძნებელ კრების არჩევნები.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოვალეა არჩევნებში ენერგიული მონაწილეობა მიიღოს, რათა შეაძლებინოს ხალხს, გამოსთქვას თავისი მისწრაფება: საქართველოს თავისუფლება და ისეთი წესწყობილების დამყარება, რომელიც ჩვენი ხალხის ინტერესებს არსებითად შეეფერება.

საარჩევნო კამპანიის გაწევა პარტიისაგან მეტად დიდ ნივთიერ სახსარს მოითხოვს.

ამისთვის მივმართავთ პარტიის ყველა წევრს და თანაგრძნობს, შემოიტანოს პარტიის კასაში შეძლებისადაგვარად თავისი წვლილი.

1) ბ-ნ ივანე პურადაშვილთან აზოვდონის კომერციულ ბანკში.

2) გაზ. ,,ჩვენი ქვეყნის'' რედაქციაში, თბილისის ქ: ს. მიქელაძის სახლი.

გასწიეთ ყველგან აგიტაცია საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოდ!

ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს! ყოველი შემოწირულება, რა რიგ მცირედიც არ უნდა იყოს იგი, საერთო საქმისათვის მეტად ძვირფასია.

**ქუთაისის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისა.**

## ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

**ხმები ბოლშევიკების დამარცხებისა.** გუშინ ქუთაისში ხმები გავრცელდა რომ პეტროგრადში ბოლშევიკების გამოსვლა ჩაქრობილ იქმნა. ჯარი მათ წინააღმდეგ ყოფილა.

**ქალაქის საბჭოში.** 17 ოქტომბერს მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა. სხდომაზე პირველათ განიხილეს საკითხი ბოლშევიკების გამოსვლის შესახებ და გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია:-ბოლშევიკების გამოსვლა გაიმარჯვებო იგი დროებით თუ დამარცხ თავიდანვე იარაღით ხელში, აუცილებლათ მოყვება კონტრ-რევოლუციის გამარჯვება და თავისუფლების დაღუპვა. რევოლიუციის ინტერესები მოითხოვს კონფლიქტი მშვიდობიანი გზით იქნეს გადაწყვეტილი მთელი დემოკრატიული მთავრობის შედგენით რომელიც აიღებს ძალა-უფლებას დამ. კრების მოწვევამდის, რომელიც აუცილებლათ მოწვეული უნდა იქნეს დანიშნულ ვადაზე. ამავე დროს ქუთაისის ქალაქის თვითმართველობა მოუწოდებს ყველას დაიცვან რევოლუციონური წესიერება და რევოლიუციონური ძალების ერთობა. ეს რეზოლიუცია მიღებულ იქმნა 32 ხმით წინააღმდეგ სამისა. ამ რეზოლიუციას უარყოფით შეხვდა ფედერალისტთა ფრაქცია მათი წარმომადგენელი გრ. ლაღიძე მტკიცეთ იცავდა ბოლშევიკების გამოსვლას. ამავე კრებაზე განხილულ იქმნა „ნაკაზი“ ქალაქის გამგეობისა, რომელიც რამდენიმე მუხლის შესწორებით საბჭომ მიიღო.

**საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კრება.** დღეს, 28 ოქტომბერს, კლასიკური გიმნაზიის დარბაზში საღამოს 6 საათზე მოხდება საზოგადო კრება დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების კავშირისა. კრებაზე განხილულ იქნება მოხსენება კომისიისა ქ-ნ კორძაიას კერძო გიმნაზიაში მომხდარი ინციდენტის შესახებ.

**სესხი ქალაქის საჭიროებისათვის.** ქალაქის მოურავი რომელიც გამგზავრებულ იყო თფილისს ქალაქის აუცილებელი საჭიროებისათვის 300,000 მანეთის სესხის ასაღებათ, უკვე დაბრუნდა, საქმე ასე მოუწყვია: 50,000 მანეთს მოკლე ვადით იძლევა კავკასიის ბანკი, ხოლო დანარჩენი 250,000 მანეთი აღებულ უნდა იქნეს სადგილ-მამულო ბანკებიდან.

**პატრის გადაყვანა.** სარატოვის კათოლიკეთა ეპისკოპოსმა კესლერმა გადაიყვანა ქ. ქუთაისიდან ახალ ციხეში პატრი ალოიზ ბათმანაშვილი. ამ გადაყვანამ დიდათ გაიოცა ქუთაისის კათოლიკები და საეკლესიო საბჭომ გაუგზავნა სარატოვში ეპისკოპოსს კესლერს, რომელსაც სთხოვს დასტოვოს პატრი ბათმანაშვილი ისევ ქუთაისში.

**ერთდროული დახმარება პ. ი. მოსიძეს.** ქალაქის საბჭომ დაადგინა ქალაქის გამგეობის ყოფილ წევრს პ. ს. მოსიძეს მიეცეს ერთდროულ დახმარების სახით 2,000 მანეთი.

**სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელთა ყრილობა** სასურსათო მინისტრი პროკოპოვიჩი ატყობინებს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, რომ 20 ნოემბერს ქ. მოსკოვში შესდგება სრულიად რუსეთის სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელზედაც ერთი თქვენი წარმომადგენელიც უნდა გამოგზავნოთო.

**მისაბაძი მაგალითი.** ბ-მა მინა მესხმა ავარის წიგნ-საცავ სამკითხველოს წლის ბოლომდი გაუწერა გაზ. „ჩვენი ქვეყანა“.

**თეატრი.** დღეს ქალაქის თეატრში ქართული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ,,ივერიძის ოჯახი'' დრამა 3 მოქმედებათ

**საქონლის გაყიდვა.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტთან არსებული სალიკვიდაციო კომისია, რომელიც შესდგება რევოლუციონური ორგანოების წარმომადგენლებისაგან, აცხადებს, რომ ის საქონელი, რომელსაც რეკვიზიცია და კონფისკაცია უყვეს, გაყიდულ იქმნება გაბუნიას მაღაზიაში. საქონელი გაყიდული იქნება დაკლებულ ფასებში იმ ღატაკ მცხოვრებლებზე, რომელთაც მოთხოვნილება დიდია. ცნობების მიღება შეიძლება ამ კომისის მორიგ წევრთან საგუბერნიო კომიტეტის სადგომში.

**ხმოსნობის შეცვლა.** ქალაქის საბჭომ მხოსან ტრიფონ ჯაფარიძის მაგივრათ, რომელმაც ხმოსნობაზე უარი განაცხადა დაამტკიცა შემდეგი კანდიდატი ერ. დემოკრატიულ პარტიისა ი. ი. პურადაშვილი და ხმ. მეფარიშვილის (ს, რევ.) ნაცვლათ-კუხიანიძე,

**სასწავლებელში.** ქუთაისის სამეურნეო სკოლაში მეცადინეობა დაიწყება 1 ნოემბერს.

**ხიდის გაყვანის პროექტი.** ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს საგუბერნიო კომიტეტს, რომ გაგზავნოს ინჟინერი და. ტეხნიკი ს. ჟონეთს მდ, რიონზე ხიდის გასაყვან პროექტის შესადგენად

**აფთიაქის მოსამსახურეთა შორის.** ქუთაისის აფთიაქების მოსამსახურეების კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა ქალაქის თვითმართველობას, რომ შეადგინოს ცალკე კომისია, რომელიც მოაწესრიგებს აფთიაქის მოსამსახურეთა და მეპატრონეთა შორის გამწვავებულ უთანხმოებას. ამ კომისიაში უნდა შევიდეს ქალაქის 3 წარმომადგენელი. ეს კითხვა განიხილა ქალაქის საბჭომ და თავის წარმომადგენლებათ კომისიაში აირჩია; გველესიანი და თალაკვაძე.

**დეპუტაცია სამუსულმანო საქართველოდან.** დღეს, საათის 1-ზე, ბათომის მატარებლით ქუთაისში ჩამოვლენ სამუსულმანო საქართველოდან გამოგზავნილი ათი კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია.

**შეცთომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის 160 ნუმერში შეცთომით იყო აღნიშნული ცნობა, რომ დაიხურა რესტორანი „ზოლოტოიე დნო“-ო უნდა იყვეს: სასტუმრო ,,ზოლოტოე დნო''.

## ოქმი.

1917 წელს 28 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის ცენტრალურ და სამთო უბნების საუბნო კომიტეტების სხდომაზე თავმჯდომარე ერთხმათ არჩეულ იქმნა ბ. დიდიმ ნიკოს ძე ჩიკვაიძე ამის გარდა სხდომამ დაადგინა დროებით მდივნათ არჩეულს იქმნას ქ. აგნესა შარვ ნის ასული ლადუა მოლარეთ არჩეულ იქმნა ერთხმათ ბ-ნ ნოე გრიგოლის ძე გამრეკლიძე რაც შეეხება ბინას სანამ მოიპოვება საკუთარი რიგიანი ბინა ქუთაისის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების გამგეობამ დაუთმო კომიტეტს ერთი ოთახი.

კრ. თავმჯდომარე **დიდიმ ჩიკვაიძე.**

**კომიტ. წევრები:**
ნოე გამრეკელი,
აგნესა ლადუა,
ანნა ლადუა,
ან. ოდიშარია და
ს. საკაშვილი.

## ყუბანის რესპუბლიკა

მოგვყავს ყუბანის მხრის მთავრობის უმაღლეს ორგანოთა რადის მიერ მიღებული მთავარი დებულებანი.

**1. საზოგადო დებულებანი.**

1. სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მიერ რუსეთის სახელმწიფოებისათვის ძირითად კანონების გამოცემამდე ყუბანის მხარე ამ დროებით დებულებაში აღნიშნულ წესებით განაგებს თავის საქმეებს.

2. ყუბანის ოლქში უმაღლეს მთავრობის წყაროდ ყუბანის მხრის უფლება-მოსილ მცხოვრებთა ნება სურვილი ითვლება.

**შენიშვნა 1.** უფლება-მოსილ მცხოვრებლად ის მცხოვრებელი ითვლება, რომელსაც რადა სცნობს უფლება-მოსილად.

**შენიშვნა 2.** ვიდრე საკანონმდებლო რადა დეტალურად განარჩევდეს თუ რომელი მცხოვრები ითვლება უფლება მოსილად ყუბანის მხარეში და შემუშავებულ დებულებას საოლქო რადა დაამტკიცებდეს—უფლება-მოსილებად ითვლებიან: ყაზახები. მთიელები სოფლის მცხოვრები, მიწათ-მოქმედების ამხანაგობათა წევრები, რომლებიც ადრევე მიეწერნენ ყუბანის ოლქს.

3. ადგილობრივ ცხოვრების საკითხებს გადაწყვეტაში ყუბანის მხრის უმაღლესი მთავრობა დამოუკიდებელი და თავისუფალია.

4 უმაღლეს უფლება-მოსილებით აღჭურვილნი არიან წარმომადგენლობითი ყრილობები, რომელთაც ქვემოდ მოყვანილ კანონების მიხედვით უნდა იმოქმედონ, და აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც ამ დებულებით აღნიშნულ წესების მიხედვით აირჩევიან და იმოქმედებენ იმ რწმუნებულობათა და ინსტრუქციის მიხედვით, რომელთაც წარმომადგენლობითი კრებები დაამტკიცებენ.

5. წარმომადგენლობითი კრების არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ყველა 20 წლის უფლება მოსილი მოქალაქე. არჩევნები მოხდება საყოველთაო, (განურჩევლად სქესის) პირდაპირის, თანაბარ და ფარულ კენჭის ყრით.

**შენიშვნა** სამხედრო პირნი და მოსამსახურენი არჩევნებში მონაწილეობენ. საერთო წესების მიეხდვით, იქ სადაც მათი სამხედრო ნაწილები იმყოფებიან.

**2. ყუბანის საოლქო რადა**

6. ყუბანის საოლქო რადა გამომხატველია უფლება მოსილ მცხოვრებთა ნებისა. რადას იწვევს განსაკუთრებულ პირობების გამო ყუბანის მთავრობა, ხოლო საკანონმდებლო რადის სესიის დროს საოლქო რადას ამ უკანასკნელის დადგენილებით იწვევენ.

7. ყუბანის საოლქო რადაში ყოველ 5 ათას უფლება მოსილ მცხოვრების თავზე—ერთი წევრი ირჩევა. თუ ხუთ ათასზე მეტ უფლება მოსილ მცხოვრებლებს უფლება აქვთ კიდევ ერთი დეპუტატი იყოლიონ რადაში. თუ მათი რიცხვი 8 ათას აღწევს (არა ნაკლებ 7 500).

**შენიშვნა 1.** ისეთი დასახელებული ალაგი, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 5 ათას არ აღწევს, მაგრამ თვითმართველობის საკუთარი ორგანო აქვთ—საოლქო რადაში ერთ წარმომადგენელს გზავნის.

**შენიშვნა 2.** 1917 ენკენისთვის 24 მოწვეული რადა ამტკიცებს ყუბანის მხრის უმაღლეს მთავრობის ორგანოთა დროებით ძირითად დებულებებს, ირჩევს ყუბანის პირველ საკანონმდებლო რადას და სამხედრო ატამანს.

**3. საკანონმდებლო რადა.**

8 ყუბანის საკანონმდებლო რადა ყუბანის მხარეში უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ ითვლება.

9. ყუბანის საკანონმდებლო რადის მიერ გამოცემული კანონები შეეხება მთელს ყუბანის მხარეს. რადა იხილავს და ამტკიცებს ბიუჯეტს, ირჩევს ყუბანის მთავრობის თავმჯდომარესა და წევრებს, ირჩევს კონტროლიორს და წარმომადგენელს რუსეთის სახელმწიფოს ცენტრალ მთავრობაში გასაგზავნად, ამასთან ერთად რადა იხილავს ყუბანის მთავრობის მოქმედების შესახებ მიღებულ შეკითხვებს.

**შენიშვნა.** პირველი საკანონმდებლო რადა გადასინჯავს, შეავსებს და გაარღმავებს ყუბანის მხრის უმაღლეს მთავრობის ორგანოთა ძირითად დებულებებს და ეს ძირითადი კანონი საოლქო რადაში შეაქვს დასამტკიცებლათ.

10. საკანონმდებლო რადას აქვს საშემოდგომო, საგაზაფხულო და განსაკუთრებითი სესიები. შემოდგომისა და გაზაფხულის სესიის დღეებს თვით რადა ნიშნავს. დანსაკუთრებითი სესიებს ყუბანის მთავრობა იწვევს. მისი მოწვევა შეიძლება საკანონმდებლო რადის უმრავლესობის განცხადებითაც.

11. საკანონმდებლო რადას უფლება აქვს შექმნას მუდმივი კომისიები.

12. პირველ საკანონმდებლო რადაში 20,000 უფლებამოსილ მცხოვრებზე ერთი წევრი შევა. პირველი საკანონმდებლო რადა იარსებებს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მიერ რუსეთის რესპუბლიკის, ფედერატიულ რესპუბლიკის, ძირითად კანონების გამოცემამდე, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში რადა რწმუნებულობით აღჭურვილი სამ წლამდის ჩაითვლება.

13. საოლქო და საკანონმდებლო რადის წევრები, თანამდებობის აღსრულების დროს გამოთქმულ აზრებზე არავითარ პასუხის არ აგებენ.

14. სესიის დროს საოლქო და საკანონმდებლო რადის წევრთა დაჭერა და სასამართლოში მიცემა შესაფერ წარმომადგენლობითი კრების ნება დაურთველად არ შეიძლება იმ შემთხვევების გარდა, თუ იგი შეიპყრეს იქ, სადაც დანაშაულობა ჩაიდინა.

15. საოლქო და საკანონმდებლო რადის დადგენილებით ამა თუ იმ რადის დაწერილი წევრი თავისუფლდება და სასამართლოც არა სდევს მას სესიის დასრულებამდე.

4. სამხედრო ატამანი.

16. სამხედრო ატამანი ითვლება მთელ ყუბანის მხრის თავად და წარმომადგენლად (ყუბანის მხ. რე 17—22 მუხლებით აღნიშნულ ფარგლებში იგულისხმება) იგი ითვლება ყუბანის ყველა ყაზახთა ჯარის უფროსად, იმისდა მიუხედავად ეს ჯარი დროებით დგა თუ მუდმივ იდგება ყუბანის მხარეში.

17. სამხედრო ატამანად ყუბანის მხრის უფლება მოსილი მოქალაქე. ატამანი თანამდებობაზე 3 წელი რჩება.

**შენიშვნა.** 1. პირველ სამხედრო ატამანს, 1917 წ. ენკენისთვის 24-ს მოწვეული რადა ირჩევს, მე-12, მუხლით აღნიშნულ ვადით.

**შენიშვნა** 2. სამხედრო ატამანის არჩევით უქმდება ნაკაზით არჩეულ ატამანისა და ოლქის უფროსის თანამდებობა. მათი ფუნქციები გადადის სამხედრო ატამანზე, ყუბანის მთავრობაზე და საკანონმდებლო რადაზე კუთვნილებისამებრ.

18. სამხედრო ატამანი ერთი თვის განმავლობაში ამტკიცებს საკანონმდებლო რადის მიერ მიღებულ კანონპროექტებს და შემდეგ აქვეყნებს მათ.

19. თუ რომელიმე კანონ პროექტს სამხედრო ატამანი წერილობით აღნიშნულ მოტივების გამო არ დაამტკიცებს რომელიმე კანონ-პროექტს, მაშინ ამ უკანასკნელს ხელ-ახლა განსახილველად უბრუნებს საკანონმდებლო რადას.

20. თუ სამხედრო ატამანის მიერ დაუმტკიცებელი კანონ-პროექტი (მე-19-ე მუხლი) მეორედ შეუსწორებლივ მოწონებულ იქმნება საკანონმდებლო რადის მიერ - იგი უკვე ნამდვილ კანონად ხდება და სამ დღეზე ქვეყნდება სამხედრო ატამანის მიერ.

21. სამხედრო ატამანის ყველა აქტები და დადგენილება-განკარგულებანი, - როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ნაწილებში და აგრეთვე მისი მიწერილობა მტკიცდება ყუბანის მთავრობის ერთ-ერთ წევრის ხელის მოწერით.

22 თუ ყუბანის საოლქო რადა ხმის უმრავლესობით უნდობლობას განუცხადებს სამხედრო ატამანს, იგი თანამდებობიდან გადადგება.

5. ყუბანის მთავრობა.

23. ყუბანის მხარეში აღმასრულებელ მთავრობის უმაღლეს ორგანოდ ითვლება ყუბანის მთავრობა. მთავრობა შესდგება თავმჯდომარისა და 10 წევრისაგან. ეს ათი წევრი განაგებს სხვა და სხვა უწყებით. (სამოქალაქო გამგეობის საქმეებს, სამხედრო საქმეს, ფინანსებს, სწავლა-განმთლების საქმეს, იუსტიციას, ვაჭრობა მრეწველობას, გზათა საქმეებს, მიწად მოქმედებას, სურსათს, ხალხის ჯანსაღობის საქმეს, ერთი წევრთაგანი ეწევა მთავრობის მდივნობას).

24. კონტროლი და ცენტრალ მთავრობაში მყოფი წარმომადგენელი ყუბანის მთავრობაში არ შედიან, თუმცა მთავრობის წევრთა მოვალეობაში შეყოფებიან.

25. ყუბანის მთავრობა, კონტროლი და ცენტრალ მთავრობაში მყოფი წარმომადგენელი პასუხს აგებენ საკანონმდებლო რადის უმრავლესობა მათ უნდობლობას განუცხადებს — თანამდებობიდგან უნდა გადადგნენ.

26 მთავრობაში სამი ადგილი არა ყაზახებსაც აქვთ დათმობილი. მათში ერთი ალაგი ქალაქის წარმომადგენლისთვისაა.

27. მთავრობის მოვალეობაა: შემოსავალ-გასავლის საერთო აღრიცხვა, ცალცალკე უწყებათა მიერწარდგენილ ცნობების მიხედვით, და მის წარდგენა, კონტროლის დასკვნით, საკანონმდებლო რადაში დასამტკიცებლად; საკითხის აღძვრა ახალ კანონების შემუშავებაზე; უწყებათა მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტებზე ბჭელობა; მოწონებულ კანონ პროექტების საკანონმდებლო რადასადამი გადაცემა; თვალყურის ჭერა უწყებათა მარჯვე მუშაობაზე.

28. ყუბანის კონტროლი თვით მის უწყების ქვეშ მყოფ და მის მიერ დანიშნულ მოხელეთა დახმარებით თვალ-ყურს ადევნებს აღმასრულებელ მთავრობის ყველა ორგანოთა შემოსავალ-გასავალს, ეცნობა მათ ფაქტიურ-სამეურნეო სფეროში და რევიზიის შედეგებს საკანონმდებლო რადას აცნობებს.

6. ამ დებულების მოქმედებაში შესვლა.

29. ეს დებულება მოქმედებაში შედის 1917 წლ. ენკენისთვის 24-ს მოწვეულ ყუბანის რადის დამტკიცებით. დებულება დასამტკიცებლად რუსეთის სახელმწიფოს ცენტრალ მთავრობას გადაეცა.

## პატარა ფელეტონი.

### !პ ა რ ტ ი ა!

სანთლით ოდნავ განათებულ ვაგონში ორი მგზავრი ერთმანეთს გაეცნო.

— სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, თეოფანე მურვანიძე...

— ძლიერ სასიამოვნოა, ამხანაგო, პარტიული ამხანაგის ბრძოლის ველზე შეხვედრა... კონსტანტინე ახირაშვილი სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი რაზმის უმცროსი გამგის თანაშემწე...

— გაუმარჯოს ფედერაციას! დასჭყივლა მურვანიძემ.

— მაგი კი არ იყოს! სად ჩვენ და სად ფედერაცია... მაგი სწორეთ არ მწამს... ჩვენ ერთხმად უნდა ვიძახდეთ: გაუმარჯოს სოციალიზაციას.

— იმე, შენი არ მიკვირს! უკმაყოფილოდ უპასუხა ახირაშვილმა სოციალიზაციას თუ რუსეთში ვერ მოუპოვებია ნიადაგი, ჩვენში რაღა გადმოსათრევია. ჩვენს პროგრამაში მაგაზე მეტი შეუსაბამო და უაზრო არაფერი შემხვედრია... ვამბობთ, ეზოს, ვენახს, ბოსტანს და ყველაფერს, რაც დიდ კულტურას მოითხოვს, იმას კერძო საკუთრებათ დავტოვებთო, მაშ რაღა დაგვრჩა სასოციალიზაციო, რომ მაგაზე ვყვირით და ვლაპარაკობთ.

— ტაქტიკა, ბატონო კონსტანტინე, ტაქტიკა თხოულობს, რომ სოციალიზაცია შევიტანოთ ჩვენს პროგრამაში, თორემ.

— უკაცრავად მკვახედ შეაწყვეტინა სიტყვა თეოფანემ ბატონობით, რომ მოგმართავთ განა თქვენზე უარესი რევოლუციონერი ვარ თუ?

— ვინ მოგახსენებთ, ვინ მოგახსენებთ!..

— დიაღ, დიაღ! ამხანაგად არ გვკადრულობენ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები მაგრამ მათოხოშ სამუდამოთ გამოუცხადეთ ომი, ომი, ომი... მთელი ყრილობა იყო, კონფერენცია სამაზრო, საგუბერნიო, საოლქო და ყველგან ერთად გადავწყვიტეთ ერთმანეთს ყოველთვის, მუდამ ყოველგან „ამხანაგო" დაუძახოთ და თუ რომელიმე სოციალისტმა უარი განაცხადა, არ მოისურვა, ჩვენ პროტესტს მივმართოთ, ძალა დავატანოთ და ბოლოს მაინც გამოვგლიჯოთ ეს ხარისხი...

— ვიცი, მაგრამ წამოსცდა...

— როგორ თუ „წამოსცდა" სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო. „შუქურ ვარსკვლავთა" დადგენილებანი მუხლი 1045, პარაგრაფი მე 507 და შენიშვნა მე-34 ვანა დასავიწყებელია? იგი რომ დიდმა რევოლუციონერმა აკაკი I-მა შემოიტანა დრამატიული საზოგადოების რევოლუციონერულ კრებაზე.

— შევცდი... ამხანაგო, სისხლითა ჩემითა გამოვისყიდი ცოდვასა ჩემსა, ვფიცავ დარაზმულ გლეხებსა სოფლისასა „არარსებულისასა"...

ახლად გაცნობილნი დადუმდნენ. ერთს ეტყობოდა შენანიება, მეორე კი ნელ-ნელა ივიწყებდა ამხანაგის ცოდვებს და სრულ კაპიტალ განწყობილება. ისევ დაემყარებიათ.

— მრავალ არიან მტერნი სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიისა დაიწყო ახირაშვილმა.

— და განფანტავს მათ სურათები კერენსკისა და ბრეშკო-ბრეშკოვსკიასა, რომელთა ვინათხოვრებთ სოციალისტ-რევოლუციონერთაგან!.. ჩამოართვა სიტყვა მურვანიძემ.

— რატომ! საკუთარი ძალაც საკმაო აქვს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას და თითქოს შემთხვევით ახირაშვილმა ჯიბიდან გადმოაგდო ვეებერთელა რევოლვერი.

— ჰ! შეკრთა მურვანიძე.

— ნუ გეშინიათ, ამხანაგო, ეს თქვენი მეგობარია. იგი დამცველია სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიისა...

არა! არ შემშინებია, მხოლოდ გამიკვირდა უეცრად სამოქალაქო ტანისამოსში ამოდენა იარაღის აღმოჩენა... მართალია, გაზეთებში ეწერა, თითქოს ჩვენს სახელოვანს რაზმს დაეფაროს ქუთაისის მედუქნეები დარბევისაგან. ნუ თუ ორასი კაცი დაიარაღებული გვყავს?.

— შეიძლება ორასიც იყოს და ხუთასიც, ათასიც. როცა იარაღი გვექნება, კაცები გვეყოლება, როცა ჩვენ ყველა პარტიებს ავლაგმავთ და ხალხი ჩვენ მოგვემხრობა, რატომ არ შეიძლება ოცათასიც გვყავდეს, ასიათასიც. საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ არც ისე მცირე, რომ ორასი შეიარაღებული კაცი ჩვენც ვერ ვიშოვნოთ აებნა ლაპარაკი ახირაშვილს.

— იცოცხლე, იცოცხლე: ვიმარჯვებთ. მალე სურვილს მივაღწევთ.

— ვიმარჯვებთ და მეტი არა!. წინათ, რაც თბილი ადგილი იყო ჩვენ ჩავიგდეთ ხელში. ბანკებში, სამრეწველო დაწესებულებებში, სააზნაურო გიმნაზიებში. მართალია ამბობენ, ფედერაციასთან და სოციალიზაციასთან ბანკსა და სამრეწველო დაწესებულებას საერთო ძლიერ მცირე რამ აქვს, მაგრამ ბოროტი ენა რას არ იტყვის?. ჩვენ გავამაგრდით და ეხლა წარმოიდგინეთ დრამატიულ საზოგადოებაში, სიტყვა-კაზმულ მწერალთ საზოგადოებაში სულ ჩვენა ვართ. სამწუხაროა, რომ იქ ჯამაგირებს ჯერ-ჯერობით არ აძლევენ გამგეობის წევრებს, მაგრამ უმცროსი მოსამსახურენი, ხომ ჩვენს ხელში არიან. შევვიძლია ისინი გამოვიცნოთ. თუ სადმე რამე გამოჩნდა, ისევ ჩვენებს დავაყენებთ. ასე იზრდება სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია.

ფხუ! ვეღარ შეიკავა სიცილი მაღლა თაროზე მწოლიარე მგზავრმა. ორი ფედერალისტი სწრაფათ ფეხზე წამოიჭრა.

— თქვენ პროტესტს აცხადებთ? არ გჯერათ? გაცხარებული ეკითხებოდა ორივე უცნობს.

— არა, ბატონებო, სიცილი ვეღარ შევიკავე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ რა ვქნა პროტესტს კი როგორ გავბედავ, თქვენი პარტია ისეთი ძლიერი ყოფილა.

— თქვენ თუ არა, ჩვენ ვაცხადებთ პროტესტს!. ერთი რომ ბატონს გვიძახით. მეორე, რომ ღრმა დუმილით ისმენდით ისეთის მრავალ მხრივ ტანჯულ პარტიის საიდუმლოებას რომლის ყოველ გამოსვლას შიშით და ზანზარით უცდის მსოფლიო პოლიტიკა. მაგრამ ტყუილი კა არ უთქვამს ამხანაგ შურღაიას „რკინის გზები მხოლოდ ბურჟუაზიის საქმეს ემსახურებაო". თქვენც რკინის გზით მავალი სოციალისტ-ფედერალისტთა საქმეების ჩამშლელი უნდა იყოთ.

უცნობმა მეტი ვეღარ მოითმინა და გიჟივით გადიხარხარა:

— ბატონებო, რა გვაქვთ ან დასამალავი, ან სათქმელი, რომ განგებ დაუგდოთ ყური? ნეტავ არ ბზუოდეთ, თორემ თქვენთვის, ვინ მოიცლის?!

**გიმმა.**

## მიმართვა ილიასადმი*)

### დიდო ილია!

ვის შეუძლია დაიტიოს გულში ზღვა გრძნობის, ვის შეუძლია აღიტაცოს ფიქრი ზეცამდე, ვის შეუძლია ზიდოს მადლი მთელის ქვეყნისა, ვის შეუძლია ჩასწვდეს ერსა სულის სიღრმემდე?

მხოლოდ გუმბერაზს, რჩეულთ შორის უპირველესსა!

შენც რჩეულ იყავ!

ტანჯვამ ქვეყნისამ, სევდამ, მწველმა სიმძიმილისამ, ბეტივაყრილმა საქართველომ დამცირებულმა — ცრემლის ნაკადი ამოაშრის მწუხარებისა და თვის იმედად, თვის ნუგეშად, ჰოი უკვდავო, შენ დაგისახეს ქართვლის ძემა და ქართვლის დედამ!

შენ აღმობრწყინდი ცის კიდურზე, ვითა მთიები და განანათლე ივერიის ბნელი, წყვდიადი! შენ შეჰკარ ერთად ამერ-იმერთ ფიქრი და ზრახვა, შენ დაგვიხატე საბრძოლველად გეგმა დიადი!

ამა გეგმის გზად გვიანდერძე **ცნობა თავისა**, ხიდად გასდევი წინაპარის მოვალეობა, თავმდებად მოგვეც ცისარტყელა და განთიადი, სათაყვანებლად საქართველო — ჩვენი ღვთაება!

შენ ჩამორეკე გრძნეულ ხელით ცისკრის ზარები, ლოცვად ვეწვევდი უხეშ ძალით გაოგნებულებს, შენ გვიგალობდი ერთობასა და სიყვარულზე, შენვე გვასწავლე: მხარი მივცეთ დაობლებულებს!

შენ გრძნობად დასდნი! სული შენი აღანთე სანთლად, გულის სიღრმიდან დაშგმე ვნება და ბოროტება, ქნარად იქეცი, ქნარად წმინდად, ქნარად საამოდ: გწამდა, ქართველიც კვლავ აღსდგება, აღორძინდება!...

მაგრამ... მონობამ ისე დასცა შენ შვილთა ზნენი, რომ მიჰონცხებულს ჰიჩისუფალს საქართველოსას დიდების ნაცვლად, გაგიმწარეს ყოფნა და დღენი!

მყინვარის მთასა ქართვლის აზრის და ქართულ სიტყვის ვედრებისაებრ გაგიწოდეს ბოროტი ხელი და სპეტაკ შუბლზე — ამ ეტრატსა ქართვლის ბედისას— გვირგვინისა წილ მოგაჰქედეს, —გლახ, — ტყვია ცხელი!

მოგკლეს!... ვით ჰკლავენ ქვეყნის მტერსა და ქვეყნის ორგულს, სისხლით შეღებეს შენი მკერდი, შენი ჭაღარა!... დადუმდა ენა, ენა მჭევრი, ენა მეტყველი, შენი მარჯვენაც მიწამ დაჰფქვა, მიწამ დაჰღარა!...

მაგრამ, უებრო, არ მომკვდარა შენი ქადილი!...

დედასა მტრისას უთენდება დღენი შავბნელი: სულეიმან-ხანი ჩამოაგდეს საბძანებლიდან, ზეინაბ უტყვმა გაამჟღავნა თავის ხვაშიადი, და ოთარბეგმა, ამ ღვთის რისხვამ შინაურთათვის, ხანჯლით დაჰკუწა თვის ნიღაბი, თვისი დოლბანდი!...

სდგება ივერი! მისი შვილნი გონზე მოდიან: მალე აღმართვენ თავისუფალ დროშას ძლევისას და პირველ სხივზე... პირველ დღესვე — თავისუფალნი — შენს კვარცხლბეკის წინ სინანულით მუხლს მოიყრიან!...

**ია ეკალაძე.**

*) თქმული ილიას საღამოზე ქუთაისის ქალაქის თეატრში 27 ღვინობისთვეს.

## ილიას საღამო.

პარასკევს 27 ოქტომბერს ილიას დაბადების დღეს და გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო ქალაქის თეატრში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტმა გამართა **ილიას საღამო**. მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა თეატრს მაინც ბლომად მოაწყდა ხალხი, რათა მომხდარ ქარტეხილის შემდეგ ერთხელ კიდევ გაეხსენებია საქართველოს ღირსებულ შვილის სახელი სალამოს 8 საათი იქნებოდა, რომ აიხადა ფარდა და სცენაზე გამოჩნდა ცოცხალ ყვავილებით და მწვანე ფოთლები მორთული ფერადებით დახატული ილიას საკმაოთ მოზრდილი სურათი. სურათის ძირს მოთავსებული იყო ჩანგი და იქვე ილიას ნაწერე (უკანასკნელი დიდი გამოცემა). ძაძებში მორთული ქართველი ქალი დაჩქილი ქვითინებდა: ამ დროს გუნდმა შესრულა სამგლოვიარო სიმღერა ამ სურათმა მეტად მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე. უკანასკნელმა გაიხსენა ის სამარცხვინო ლაქა. რომელიც მოეცხო ქართველ ერს აგვისტოს 30-ს 1907 წელს ნელ-ნელა დაეშვა ფარდა. რომლის ახდის შემდეგ სცენაზე გამოვიდა ჩვენი დამსახურებული ბელეტრისტი ... და მეტად შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა; რომელმაც აღნიშნა, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა აღსრულდება ილიას ნაანდერძევი და საქართველო განთავისუფლდებაო, რამაც გამოიწვია მხურვალე ტაში ... დამსწრე საზოგადოებისა. ... შემდეგ ... მიმართა გრძნობიერი სიტყვით ილარიონ ქღენტმა, რომელმაც თქვა, ... „... ჩვენი თავი ... ჩვენ უნდა გვეკუთნოდეს" და მოუწოდა ქართველ ხალხს, მათ ჩასწვდენოდენ სიღრმეს და შინაარს ილიას ანდესძისას და გაჰყოლოდენ იმ რაზმს, რომელმაც უნდა იხსნას ხანგრძლივ მონობისაგან ქართველი ერი, აღმართავს დღეს ხავს-მოკიდებულ ციხე კოშკების ნანგრევებზე თავისუფალ საქართველოს დროშას და ილიას საფლავს ახაროს „ჩვენი თავი ჩვენვე ჩვენ გვეკუთვნისო". ქღენტი ტაშის ცემით იქნა დაჯილდოვებული. ამის შემდეგ ალ. თოროძემ წაიკითხა ლექცია „ილია და საქართველოს მთლიანობა". ლექტორმა ლამაზის ენით გადმოგვიშალა თვალწინ სურათი საქართველოს წარსულის და აწყმოსი და შოხდენილად დაახასიათა ილიას სიდიადე ქართველ ერის ისტორიაში. ლექცია შინაარსიანი და საინტერესო გამოდგა. ლექტორი დაჯილდოვებული იქნა მხურვალე თანაგრძნობით.

მეორე განყოფილებაში დაიდგა ცოცხალი სურათი „დიმიტრი თავდადებულიდან", რომლის დროს გუნდი ასრულებდა „მოდით შვილნო, აქ მოგროვდითო". ამის შემდეგ ბელეტრისტმა ნ. ლორთქიფანიძემ წაიკითხა „ორი სურათი ილიას ცხოვრებიდან", რაიც ფრიად ლამაზი ენით და მხატვრულად იყო დაწერილი, კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. დ. თომაშვილმა წაიკითხა მოხსენება „ილია როგორც რევოლუციონერი" ეს მოხსენება მეტად შინაარსიანი გამოდგა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პირველი რევოლუციონერი საქართველოში ილია იყოო. იმ დროს როცა ეროვნული და სოციალური გრძნობა მიძინებული იყო ქართველი ერში, ილიამ თავს იდვა გამოფხიზლება ერისა და გაბედულათ გაილაშქრა არსებულ სოციალურ წესწყობილების და ეროვნულ დევნის წინაალმდეგ. მიუხედავათ იმისა, რომ ილია წარმოდგებოდა იმ კლასიდან, რომელიც არ იყო დევნილი, ის მაინც როგორც დიდ ბუნებოვანი ადამიანი და ახალ იდეალებით გამსჭვალული ჩასწვდა ერის უვარგისობის ფესვებს და ძლიერი იერიში მოიტანა მის გასაუმჯობესებლათ და არსებულ წესწყობილებების ძირიან-ფესვიანათ შეცვლაზე რითაც მან შეიტანა ხალხში რევოლუციონური აზროვნება, რომელიც საფუძვლად დაედვა ყოველგვარ შემდეგს რევოლუციონურ აზროვნებას და გამოსვლებს ჩვენში.

მომხსენებელმა პარალელი გაატარა ცნობილ რევოლუციონერ კრაპოტკინსა, ჩერქეზიშვილსა და ილიას შორის და ეს უკანასკნელი პირველებს ამოუყენა გვერდში, როგორც ჭეშმარიტი რევოლუციონერი. მომხსენებელმა სთქვა, რომ ისეთი რევოლუციონერები, როგორიც არის ილია, აკაკი წერეთელი, ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე და სხვა ეკუთვნიან არა რომელიმე კლასს და არსებულ პარტიას, არამედ მთელ ერს. უნდა ვაღიაროთ, დ. თომაშვილის მოხსენება იყო პირველი სიტყვა, რომელმაც ნათელჰყო სრულიად გაუშუქებელი დღემდი ილიას მოღვაწეობის ერი მხარე. მოხსენებით მეტად ნასიამოვნები დარჩა დამსწრე საზოგადოება. მესამე განყოფილებაში კუპრაშვილის პატარა ქალმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მის მიერ შესანიშნავათ წაიკითხული ლექსებით მისმა ლექსებმა საერთო აღტაცება გამოიწვია და ყვავილებით გაუმასპინძლდენ მას. გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა კ. ლომთაძემ. ლამაზი ლექსით მიმართა ილიას ახალგაზდა მგოსანმა ლადო მაჭაიარიანმა; თვის გრძნობიერ რაინდულ და უაღრესად პატრიოტულ ლექსებით ამბროსი პირველმა აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში დივერტისმენტი დასრულდა ილ. ქღენტის მიერ გრძნობით წარმოთქმულ ლექსებით.

დასასრულ შ. ბოჭორიშვილის ლოტბარობით გუნდმა მოხდენილათ შეასრულა ქართული სიმღერები ილიას სიტყვებით.

ანტრაქტებში უკრავდა სამხედრო მ-სი კა. ღამის 12 საათზე დამსწრე საზოგადოება მეტად კმაყოფილი დაიშალა.

**Amor.**

## მოწერილი ამბები.

### ლექცია ქ. ბათომში.

24 ოქტომბერს, ქ. ბათომში ქალთა გიმნაზიის დაბაზში ჩვენმა დამსახურებულმა პუბლიცისტმა ვასილ წერეთელმა წაი-

კითხა ლექცია „მიწის საკითხზე" საზოგადოება ბლომათ დაესწრო. დარბაზში ტევა არ იყო. ლექციის ყოველი მუხლი ლექტორისაგან ნათლათ იყო გარკვეული. შეეხო ყველა პოლიტიკურ პარტიების პროგრამებს, მოიყვანა უტყუარი ფაქტები სხვადასხვა ავტორიტეტთა, როგორც სოციალისტთა ისე არა სოციალისტთა. ლექტორი ჯერ თეორიულათ შეეხო საგანს მერე კი პრაქტიკულათ გადაჭრა.

ლექციის შემდეგ გაიმართა კამათი; თავჯდომარეობდა მოქალაქე ბესარიონ ჭიჭინაძე. კამათში მონაწილეობა იღეს მოქ. ონიაშვილმა (სოც. დემ.) ორატორი შეეხო ლექციის იმ მუხლებს, სადაც აღნიშნული იყო კერძო საკუთრების მოსპობის ცუდი მხარეები და მისი შეუძლებლობა. აღნიშნა მუნიციპალიზაციის ეროვნულ-დემოკრატების მიწის საკითხის ნათესაობა შემდეგი ორატორი მოქ. სამსონ დადიანი ფედ.) მარქსის თეორიით ეკამათებოდა ლექტორს და უმტკიცებდა კერძო საკუთრების პრინციპის უნიადაგობას და უსამართლობას. ჩვენსა და კადეტების "მიწის საკითხს შორის განსხვავებას ვერ ხედავდა და მათ ერთიანობას ამტკიცებდა. შემდეგი ორატორი მოქ. ვანო ყეფიანი (სოც. ფედ.) ამის შესახებ მეც იგივე უნდა ვსთქვა, რაც პატივცემულმა ლექტორმა „მისი ნალაპარაკევიდან მე ვერაფერი გავიგეო". შემდეგ გამოვიდა მოქ. კ. კობახიძე ფედ.) მან აღნიშნა სოციალიზაციის ხელსაყრელობა ეროვნულ მთლიანობის თვალ საზრისით უმთავრესათ. აქ უწევდა ლექტორს წინაამდეგობას. უკანასკნელათ გამოვიდა მოქ. გამახარაშვილი, (ერ. დემ.) რომელმაც საგულისხმო სტატისტიკური ცნობები მოგვაწოდა მიწის რაოდენობის შესახებ თბილისის და ქუთაისის გუბერნიის მაზრებში. ის ამბობდა „მიწის მფლობელობით ფორმას კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ დამუშავების ცოდნასო. ინტენსიური დამუშავება, რაც აუცილებელი შედეგი „კერძო საკუთრებისაო".

პატივცემულმ ლექტორმა ყველა საწინაამდეგო დებულებებზე სათანადო პასუხი გასცა.

საერთოდ ლექციამ კარგათ ჩაიარი, საზოგადოება კმაყოფილი დაბრუნდა, მხოლოთ სასაცილო იყო ის ადგილები, სადაც ზოგიერთი ორატორები ლექტორს მარქსიზმის არ ცოდნას უსაყვედურებდა და თვითონ რაც იყვნენ ლექტორმა ეს აღნიშნა საპასუხო სიტყვაში. საკვირველი იყო აგრეთვე ის ადგილიც, სადაც ერთმა ორატორმა ფედ.) უსაყვედურა, რომ „ჩვენ მიერ წამოყენებული ფაქტებით ისევ ჩვენს დებულებებს არღვევთო" და ეს მისი მოსაზრებით ლექტორის ნაკლათ აღნიშნა.

**გ. ჩიქოვანი.**

### ქართ. მხედართა პროტესტი გადამიჯვნის შესახებ.

ჩვენ, ერძიჯანში მყოფი ქართველი მხედრობა, მკაცრ პროტესტს ვაცხადებთ შინაგან საქმეთა სამინისტროში შემუშავებულ ამიერ კავკასიის გადამიჯვნის პროექტის და გამოსულ წიგნაკს (Объяснительная записка) წინაამდეგ ეს იმიტომ, რომ პეტროგრადში ცენტრალ მთავრობისაგან შეთხუზული პროექტი არ ეგუება სინამდვილეს და ჰლახავს ქართველთა ერის წმიდათა წმიდას.

აღელვებული სულით და გულით ქართველი მხედრობა მოითხოვს აღდგენილი იქმნას აუცილებლათ 1783 წლის ტრაქტატში მოყვანილი საქართველოს ფარგლები და აგრეთვე შემოუერთდეს საქართველოს ხელშეკრულების ძალით სამაჰმადიანო საქართველოც.

ეს უნდა იდვას თავზედ და განახორციელოს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ.

ქართველ მხედართა მონდობილობით **დამ. ანდრონიკაშვილი დ. ივანე ქუთათელაძე.**

8 ოქტომბერი, ქ. ერძიჯანი.

## სარევოლუციო მოღვაწეობაა თუ კინკლაობა?*)

ეს ერთი ხანია, რაც ქუთ. საგუბ. აღმასრულებელი კომიტეტი ყოვლად გაუგებარ და უადგილო ბრძოლას ეწევა... სახალხო მასწავლებლების წინააღმდეგ. კომიტეტი, რომელიც მოწოდებულია რევოლუციის დასაცავათ და კონტრ-რევოლუციონერთა წინაამდეგ საბრძოლველათ, ებრძვის სახალხო მასწავლებლებს, ხალხის მის უკეთესს და უფრო შეგნებულ ნაწილს.

რა მოხდა? რამ გააცხარა ეს ადამიანები და მოთმინებაც დაუკარგა?

ერთი შეხედვით. აქ თითქო სადაო არაფერი უნდა ყოფილიყოს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ დემოკრატიზმისა და რევოლუციის მიერ აღსარებული და შეწყნარებული აზრი, რომელსაც მასწავლებლობა ადგას, ჩვენი კომიტეტისათვის მიუღებელი და შეუწყნარებელი აღმოჩნდა!..

წყეული უფლება!.. თუ კი ადამიანს ხელში ჩაუვარდა, სად და საითკენ არ გააშვერიებს თურმე თავის რკინის ბრჭყალებს, რომ ყოველიფერი ჩაბღუჯოს, მოიმწყვდიოს და შემდეგ თავის გემოვნების ქიანურზე აცუნდრუკოს?.. ფრანგები იტყვიან: „მადა ჭამაში მოდის",— და, აი, ქუთათურ უფლება-მოსილთა მადაც მოდისთ და მოდისთ!.. და ზომათ სალერღელ-აშლილი, განებივრებული და გალაღებული, რომ ვინ იცის, ვის არ შეშურდებოდა!..

მაგრამ ცოტა ამ საქმის ამბავიც გავიგოთ.

3—8 სეკტემბ. ქუთაისში მოხდა დასავლ. საქართვ. სახ. მასწ. დელეგატების ყრილობა, რომელმაც ახალი სკოლის სხვა საკითხებთან ერთად, მისი მართვა-გამგებლობის წეს-რიგიც განიხილა და დაადასტურა. ამ დადგენილების ერთ-ერთი მუხლის თანახმათ, სკოლის სარაიონო მეთვალყურეებს შეკავშირებული მასწავლებლობა ირჩევს. ხუთი ასეთი მეთვალყურე მასწავლებლებისაგან უკვე არჩეულია და დასამტკიცებლათ წარდგენილი. —აი, სწორეთ ეს იწყინა აღმასრულებელმა კომიტეტმა: ეს ჩვენი უფლება უნდა იყოს და არავის დავუთმობთო; აიღეს და მასწავლებელთაგან არჩეული მეთვალყურეები განზე დასტოვეს და თავისი შეხედულობით ზემოდან დანიშნეს, ვინც მოეპრიანათ.

დანიშნეს, მაგრამ როგორ ჩაივლის ეს დანიშვნა, ეს კიდევ საკითხავია, ხოლო ასეთი ბრძოლა და ისიც მასწვლებლობის წინაამდეგ რომ ყოვლად შეუწყნარებელია ეს კი ყველასათვის ცხადია, ვისთვისაც დემოკრატიზმი ცარიელი სიტყვები არაა.

აღმასრ. კომიტეტი თავის-თავს ხალხის ნდობით აღჭურვილ ორგანოთ სთვლის, კეთილი! მაგრამ რით არ არის იგივე მასწავლებლობა, თუ გნებავთ უაღრესი ნდობით აღჭურვილი? თუ კი მასწავლებელს ხალხი თავის შვილებს ანდობს აღსაზრდელ-გასაწვრთნელად, ამაზე მეტი ნდობის გამოცხადება-ღა გნებავთ?

და მერე ვინ არის სახალხო მასწავლებელი?—ეს შეიძლება აღმასრულებელ კომიტეტის წევრებმა არ იციან, მაგრამ ხალხმა კარგათ იცის; ხალხი მასწავლებელს უფრო კარგათ იცნობს და ენდობა მას, ვიდრე რომელსამე წევრს ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტისას, მასწავლებელიც იცნობს ხალხს და იცის მისი სულის-კვეთებაც.

ნუთუ ქუთ. აღმასრ. კომიტეტის წევრებს უფრო მეტი გაუკეთებიათ ხალხის საკეთილდღეოთ, ვიდრე სახალხო მასწავლებელს?.. ვისი შექმნილია სოფლად კულტურული დაწესებულებანი: სკოლა, თეატრი, სამკითხველო, კოოპერატივი, ქსენონი, ფოსტის განყოფილებანი და სხვა, თუ არა მასწავლებლის აქტიური მონაწილეობით და ხშირათ ინიციატივითაც?!. ვინ ეწეოდა და ეწევა ხალხში სარევოლუციო მოღვაწეობას, თუ არა იგივე მასწავლებელი უაღრესათ?.. ვინ არიან ჩვენი ჟურნალ-გაზეთების კორესპოდენტ-თანამშრომელნი სოფლებიდან, თუ არა იგივე მასწავლებელნი!? განა ვისმე დაეძვრის ენა და გაბედავს მასწავლებლობაზე ეჭვის შეტანას?.. ასეთ გაბედულებას მხოლოდ „ქუთათური რევოლუციონერები" იჩენენ და ისიც მასწავლებელთა მიმართ! იმიტომ ხომ არა, რომ მასწავლებლობა მათ დაბალ ლობეთ მიაჩნიათ. რომელზედაც გადალაჯუნება დაუსჯელათ შეიძლება?.. მართალია, სპირიდონ მცირიშვილები ბევრს რასმე ითმენდენ, მაგრამ ის დრო სამუდამოთ დაიმარხა და არც მაშინდელს მკლავაძეს შერჩენია თავგასულობა.

დიახ, აღმასრ. კომიტეტი ყოვლად უადგილოთ ილაშქრებს მასწავლებელთა უფლების წინააღმდეგ. კომიტეტს ფრიად ვრცელი სამოღვაწეო ასპარეზი აქვს გაშლილი და მასწავლებლის უფლების შელახვა მის კომპეტენციას აღარ უნდა შეადგენდეს.

დღეს, როდესაც ათასი და ათი-ათასი საკითხი დაუყონებლად გადაჭრას მოით ხოვს; როდესაც ჩვენს არსებობას ანარქიის ცეცხლი ემუქრება; როდესაც ჩვენი სოფლებიდან შემაძრწუნებელი ხმები მოდის შიმშილობის, რბევა-აწიოკების და სხვათა შესახებ; როდესაც სოფლის ცხოვრების მოწეს-რიგებაში მასწავლებლობას ფრიად მნიშვნელოვანი და დროის შესაფერათ სასარგებლო როლი შეეძლო ეკისრა,—გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტი გამოდის და მასწავლებლობას მის არსებითს უფლებაში ეცილება, ედავება და წართმევას უპირებს!..

როგორი სახელი ეწოდება ამას: სარევოლუციო მოღვაწეობაა ეს, თუ იმერული კინკლაობა?!.

**დონ.**

*) რედაქცია ზოგიერთ აზრს პატივცემულ ავტორისას არ იზიარებს.

## პასუხი „მოუსვენარაძეს".

ვბეჭდავთ რა შეუცვლელად ქვემოდ მოყვანილ წერილს დ. კოპალიანისა, რედაქცია აცხადებს, რომ, რადგანაც მას არავითარი საბუთი არა აქვს ხელთ, იქონიოს თავისი შეხედულება, მთელ პასუხისმგებლობას თვით ავტორს აკისრებს.

რედაქციას აუარებელი წერილი მოსდის ასეთივე შინაარსისა.

რედაქცია მოვალედ სთვლის თავს, ასეთ მოვლენებს, როგორიც მოყვანილია დ. კოპალიანის წერილში, ყურადღება მიაქციოს, ვისგანეც ჯერ არას, **რედ.**

—

მე 161 ნუმერში გაზეთ „სოციალ დემოკრატში" მოთავსებულია წერილი ვიღაც „მოსვენარაძის", რომელიც ეხება რა „ფედერალისტების მოღვაწეობას ლეჩხუმში" სხვათა შორის მეხება მეც და სწერს: „ვინ არიან ეს ვაჟბატონები (შავრაზმელები)"? დ. კოპალიანი, ნეტარ ხსენებულ დროში „პრისტავის" თანაშემწეთ იყო, რომელიც მათრახებით და ქრთამებით ტყავს აძრობდა ხალხს. ლეჩხუმის აღმასრულებელმა კომიტეტმა დ. კოპალიანი დაატუსაღა და ქუთაისს გაგზავნა; ორი კვირისა ციხეში ჯდომის შემდეგ იგი ჯარში ჩარიცხეს და დღეს ვითომ „ავათმყოფობით" კვლავ დაუცხრომლად ეწევა „თავის საყვარელ საქმეს" (?)". შემდეგ ნათქვამია:

„ამ ხალხს ჩვენ კარგათ ვიცნობდით თავიდანვე და არც აწი გვაქვს მათი გამოსწორების იმედი"...

ვეკითხები ბ. „მოუსვენარიძეს"-მაცნოვს ის მე პირადათ, თუ მას გადასცეს ჩემზედ ასეთი რამ და თუ ფეხის ხმას არ არის აყოლილი?. მაქვს პატივი მოვახსენო ბ. „მოუსვენარიძეს" და მის ამხანაგებს, რომ 1905 წელში და შემდეგაც მე ვეკუთვნოდი მის პარტიას და ერთ კარგ ხელმძღვანელადაც ვითვლებოდი იმ დროს. რეაქციის დროს ყაზახთა რაზმმა დამწვა მე და არა „მოუსვენარიძეები". ვიმალებოდი ტყე ღრეებში. ვგონებ, კიდევ მე და სხვა. 1909 წელშიდ შევედი. მწერლად მაზრის სასამართლოს კანცელარიაშია და იქ ვიყავი მწერლად (ვბეჭდავდი მაშინაზე). 1916 წელში მომცეს კლასის „ჩინოვნიკობა" და სხვათა შორის მომანდეს ცაგერის ბოქაულის კანცელარიის მოწესრიგება (კანცელარია იმ დროს აწეწილ დაწეწილი იყო) და მეც შევუდექი მხოლოდ და მხოლოდ იმის მოწესრიგებას. რომ მთელ ჩემ სამსახურის დრო ხელის შემწყობი ვიყავი პოლიტიკური საქმისა ლეჩხუმში, ეს აშკარათ იციან თვითონ, როგორც წევრებმა (ზოგიერთმა) ლეჩხუმის აღმასრულებელ კომიტეტისა აგრეთვე სხვა ამხანაგებმა: ა. მიქაუტაძემ, უკვე მიცვალებულმა ა. ლარცულიანმა, ნ. შეულიანმა და სხვა;. როდესაც მეოთხე არჩევნები იყო სახელმწიფო დუმაში იმ დროს ერთმა ფრუიძემ ხმა მისცა ფედერალისტთა წარმომადგენელს (განსვენებულ კუჭიკო გელოვანს). ქუთაისში მცხოვრებმა ერთმა სოციალ დემოკრატის პარტიის წევთაგანმა გაზეთის ფურცლებზედ მისცა რაოდენიმე შეკითხვები ფრუიძეს და წერილის ქვეშ მოაწერა ხელი ფსევდონიმით: „ცაგერელი დათიკო". რის შედეგი იყო ის, რომ აქ, ცაგერში, გამოილაშქრეს ჩემს წინაამდეგ, მიჩივლეს კიდევ მაზრის უფროსთან „შენი ჩინოვნიკი „პოლიტიკური" დამნაშავე არისო-"და ამიტომ სამსახურიდან დამითხოვეს. ეს იციან თვით ლ. დადეშქელიანმა, ვარლ. გელოვანმა და სხვა. როდესაც ლაილაშს მივედი და გარდავეცი ყოველივე ეს ლ. დადეშქელიანს—ამ უკანასკნელმა მიპასუხა: „ის დასწერა შენი ფსევდონიმით დათიკო (ქებაძემ თუ ჭიპაძემ კარგათ არ მახსოვს) და შენ, ნუ გეშინია, გაჩუმდი" ო.

ამ წელში, როდესაც. გაგზავნილი. ვიყავი ქუთაისშიდ „კამანდიროვკაში" (აქ თხილამურები ჩავიტანე ჯარისთვის). გავიგე ნიკოლოზის ტახტიდან ჩამოგდება და გამეხარდა თუ მეწყინა ეს იცის აფიცერმა „პრიომშჩიკმა"- წითელ ჯვრის აგენტმა სოლოღაშვილმა. მეორე დღეს წამოვედი რა ქუთაისიდან, თუნცა მოვდიოდი ცაგერში მაგრამ მეგულვებოდა რა ლ. დადეშქელიანი ლაილაშში, შეუხვიე იქ და სამკითხველოში გარდავეცი ყოველივე გაგონილი და მასთან აგენტის დეპეშები. (ალბათ მეც მესიამოვნებოდა ეს). დასასრულ, მიტინგებზედ ვესწრებოდი მეც და ხალხმა ორჯერ ამომირჩია საზოგადოების კომიტეტში სხვასთან ერთად და ვიყავი მდივნათაც.

მაშ რისთვის მეძახიან ეხლა მე „შავრაზმელს" და კიდევ რას არ მიწოდებენ?.. აი რისთვის!...

უკვე ზევით მოგახსენეთ, რომ მე ვეკუთვნოდი სოციალ დემოკრატთა პარტიას და რადგანაც ვიცვალე აზრი და გადავედი ეროვნული-დემოკრატების პარტიაში, რა თქმა უნდა, არც ვფარავ ხალხს ხშირად უხსნიდი ამ პარტიის პროგრამას და შეძლებისდაგვარათ ვაძლევდი განმარტებას ამა თუ იმ კითხვებზედ, არ ვფარავ არც იმას და სასიქადულოთაც მიმაჩნია, რომ მე გლეხობა ყურადღებით მექცეოდენ (მე თვითონ გლეხი ვარ) და მაზრის არჩევნების დროს, მე ბ. მოუსვენარიძეებისათვის შევიქენი „ხელის შემშლელი" და რომ თავიდან მოვეშორებინეთ კიდეც დამიჭირეს და ციხეში ამომაყოფინეს თავი. ჩემი ხუთი პატარა შვილი, მოხუცი ოთხმოცდაათი წლის დედა და ცოლი დამაყრევინეს ანაბარათ და მე მონათლული „კონტრ-რევოლუციონერის" სახელით ჩამსვეს ციხეში. ხალხმა, მთლათ ცაგერის საზოგადოებამ (600-7000 კომლია) გამოიტანა დადგენილება ჩემს ციხეში ყოფნის დროს თხოვა შუამდგომლობა ლეჩხუმის აღმასრულებელ კომიტეტს ჩემ განთავისუფლებათ, მაგრამ ეს დადგენილება დღესაც კომიტეტში ძევს, და არავის გამოუგზავნია; მაგრამ დეპეშით შეატყობინეს საბჭოს რომ „დ. კოპალიანის განთავისუფლებას და ფრონტზედ გაგზავნას **დამაბრკოლებელი მიზეზები** არ აქვს"... გავატარე ციხეში შვიდი კვირა (და არა ორი კვირა როგორც მოუსვენარიძე ბძანებს) და გამოსვლისას ოჯახი აფორიაქებული დამხვდა, თუ რამე მქონდა, დოუთესელი და გოუშენდელი დამხვდა.

შემდეგ განთავისუფლებისა გამწერეს ჯარში და იქიდან თვალების ავათმყოფობით გამომიშვეს სამითვით, რომლის ვადა ჯერაც გათავებულა (ბილ. გოსპიტლის №2429); და რა თქმა უნდა, დაბრუნებისას ჩემს უბრალოთ დამტანჯველებს არც ავათ და არც კარგათ ხმას არ ვსცემდი, და რატომ კიდევ მადლობა არ გვითხარიო მიყვეს ქორებს ხელი.

ვსთხოვ ბ. მოუსვენარიძეს ამხანაგებით. მაკმარონ მე ტანჯვა, რაც ავიტანე და მაცალონ ვიცხოვრო, როგორც ადამიანმა. მე არ მცალია არც ქორებისათვის და არც ისეთ გამოსვლებისათვის, რომელისაც ისინი ამბობენ. რაც შეეხება მათრახებს, ვიტყვი თუმც ძველი მათრახები აღარ სუფევს, მაგრამ ეხლა ტყვიამ დაიკავა მისი ალაგი (მკვლელობები ცაგერში) და რაც შეეხება ქრთამების აღებლებს, თუ ბ. მოუსვენარიძე კარგათ დოუკვირდება იმ ჯგუფს, რომელიც ტრიალობს ლეჩხუმში და ჩოუკვირდება მათ წარსულს ნახავს რამდენიმე პირს, რომლებიც, შესაძლოა არის, დღეს დღეობით, ლეჩხუმის მართვა-გამგეობაში კარგი ალაგებიც ეჭიროსთ.

მე თავიდან ამას ვამბობდი რომ, მე აბრამის კრავი არა ვარ, მეც ცოდვილი ვარ ცოდვილთა ქვეყანაში, მხოლოდ ჩემზედ მეტი ცოდვილი და ცოდვილები კი სულ ცხვირწინ უდგანათ მოუსვენარიძეებს, მაგრამ იმათზედ არას იტყვიან, რადგანც ისინი მათ პარტიას ეფარებიან.

თუ მე ზედმეტი ვარ, და არ სასურველი პიროვნება, ეს მითხრას ლეჩხუმის საზოგადოებამ, რომელიც მე კარგათ მიცნობს, ჩემმა საზოგადოებამ და ვიძლევი სიტყვას გაზეთის ფურცლებზედ რომ, არავის შრომა და ჯაფა არ მივაყენო, ისე საჯაროთ მოვიკლა ჩემი თავი...

**დავით დავითისძე კოპალიანი.**

დ. ცაგერი 1917 წ. 20 ოქტომბერი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო დიდად პატივცემულ იმ ქვემოდ აღნიშნულ პირებს, რომლებმაც ჩემი არტანის, ოლთისის ისპირის და თორთუმის ოლქებში მოგზაურობის დროს გადმომცეს მე ქართული საქველმოქმედო საზოგადოების არტაანის განყოფილების სასარგებლოთ თავიანთი წვლილი, სახელდობრ; 1) დ. მ. ხ-მა 500 მან*) ი. გ. ელენტმა 50მ., ივანე ივ. გეპნერმა 6 მ. **) ვ. არჩილისძე ანჯაფარიძემ 5., პოლკოვნიკმა ესტატე გ. თავად ჩერქეზიშვილმა 12 მ. ნ. ს. ფანიაშვილმა 17 მანეთი და სახელმწიფო კონტროლიორმა იასონ გიორგიის ძე ხახუტაშვილმა 50 მანეთი, სულ 640 მანეთი, ეს ფული ჩამოსვლისთანავე არტანაში გადავეცი ამავე განყოფილების თავმჯდომარეს ბ-ნს სალარიძეს.

მასთან ერთად ჩემი გულითად მადლობას უძღვნი თანამემამულეს ინჟინერ ლევან კონსტანტინეს ძეს თავადი აბაშიძეს, რომელიც ჩემი ოლთისში ჩასვლისათანავე, გარდა სახლში მიწვევისა და პატივისცემისა, თვისი ეტლით გამყვა შიდა ოსმალეთში ქართული სოფლებისა და ქართველთა ისტორიულ სიძველეთა დასათვალიერებლად და მით გამიადვილა ჩემ მიერ ნაკისრი მძიმე საქმის შესრულება, აგრედვე მადლობას ვსწირავ ბ. ბ. ქართველ ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს გზის მაჩვენებელს სიმონ (სიკო) გიორგის ძე პორუჩიკ დვალაძეს,, სახელმწიფო კონტროლიორს იასონ გიორგის ძე ხახუტაშვილს და ხარჯთ ამკრეფ ინსპექტორს ივანე ივ. მეპნერს, რომელთაც არ დაიზარეს და წამომიყვანეს იისპირის და თორთუმის ოლქების დასათვალიერებლად.

ვთხოვ პატივცემულ გაზეთებს „საქართველოს" და ვოზრაჟდენიე"-ს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების არტაანის განყოფილების რწმუნებული და მდივანი.

**კ. ოდიშარია.** (კ. მარტვილელი)

*) დ. მ. ხ—ვამ ამასა წინათ ერთხელ 25 მ. გადმოგვცა რაც გაზეთ „საქართველოში" უკვე გამოცხადებული იყო და 25 მ. თვით სკოლის კურთხევის დროს შემოსწირა.

**) ბ. გეპრელმა, გარდა ამ 6 მანეთისა, 100 მან. კიდევ დაგვპირდა ამ განყოფილების სასარგებლოთ.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |


## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

ჰისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.


სტამბა „ქმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში